იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა


გამოცემის მე-12 წელი

№ 6 (190)

მარტი, 1968 წელი



ნიკოლოზ მუსხელიშვილი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი



სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლები ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, იქ, სადაც 4-5 წლის წინათ ტრიალი მინდორი იყო.

ამოდის მესხეთიდან

აწყურის მარკიანი კონსერვები გაჩნდება ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების უკვე წლევანდელ სეზონში. ამ დროისათვის მწყობრში ჩადგება საკონსერვო ქარხანა, რომელსაც საკუთარი სახსრებით აშენებს ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა.

მესხეთის შესანიშნავ ხილს და ბოსტნეულს — ვაშლს, მსხალს, ქლიავს, პომიდორს, კიტრს — გადაამუშავებენ მწნილად, მურაბად, წვენებად, კომპოტებად. ქარხნის სიმძლავრე პირველ წელს იქნება მილიონნახევარი პირობითი ქილა, ხოლო შემდეგ წელს — 5 მილიონი.

აწყურის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი მეურნეობაა რესპუბლიკაში. გასულ წელს მისმა მოგებამ შეადგინა 245 ათასი მანეთი, რაც ერთისამად აღემატება გეგმას. მოგების ანარიცხები კაპიტალურ დაბანდებათა ფონდში საშუალებას იძლევა აშენდეს საწარმოს საამქროები, აღიჭურვოს ისინი საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობით. ეს ხარჯები უკვე წელს მოიტანენ შემოსავალს. და თუ შარშან რეალიზებული იყო მილიონნახევარი მანეთის პროდუქცია, წელს მეტი გაიყიდება.

ქარხანას ჰყავს ადგილობრივი კადრები. ტექნოლოგად დანიშნულია ო. ლაბაძე. იგი ამთავრებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობის, მევენახეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის ფაკულტეტს. ქარხნის ლაბორატორიის გამგედ იმუშავებს აგრეთვე ამ ინსტიტუტის სტუდენტი ლ. მარქარიანი. ქარხანაში კონსერვის წარმოებაზე იმუშავებენ საბჭოთა მეურნეობის მუშები. ახალგაზრდა აწყურელები საკუთარი ძალებით აშენებენ ქარხანას, ხოლო მას სათავეში უდგას საბჭოთა მეურნეობის ინჟინერი ვ. მაჭარაძე. ქარხნის პროექტიც კი აწყურელმა ახალგაზრდამ, ახალციხის რაიაღმასკომის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს საპროექტო ბიუროს ინჟინერმა ი. კასაბაშვილმა დაამუშავა.

კეთილი ექიმის... ჰაერი

ქალაქ-კურორტ გაგრის სტუმრებს მთელი წლის განმავლობაში მკურნალობს ჰავა. გაზაფხული აქ კარგა ხანია დაიწყო. კავკასიის შავი ზღვისპირეთის ამ მარგალიტის ჯანმრთელობის კერებში უკვე ბევრი ხალხია. საგაზაფხულო სეზონის პირველ დღეს კურორტის სანატორიუმებმა და დასასვენებელმა სახლებმა მიიღეს დაახლოებით 800 დამსვენებელი, რომლებიც ჩამოვიდნენ პროფკავშირული საგზურებით. თუმცა ლაჟვარდოვანი ზღვა მომხიბლავია, მაგრამ, ბანაობა ჯერ ადრეა. და მიუხედავად ამისა, პლაჟები მზის ამოსვლისთანავე ცოცხლდებიან როგორც ზაფხულში. ექიმთა რეკომენდაციით აქ მოიჩქარიან „ექიმ ჰავასთან“ მიღებაზე ისინი, ვისაც სჭირდება სუფთა ჰაერი და მზის აბაზანები.

კურორტოლოგთა ყველაზე საიმედო თანაშემწე ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში აქ გახდა ზღვის ჰავა. ოზონითა და სამკურნალო ზღვის მარილებით გაჯერებული ჰაერი ეხმარება დამსვენებლებს განიკურნონ მრავალი სნეულებისაგან. ჩელუსკინელთა სახელობის საბაზო სანატორიუმში კეთილი „ექიმ ჰავის“ პაციენტთა შორის არიან ჰიპერტონიით, ჰიპოტონიით, დისტროფიით, ათეროსკლეროზით, გულის მანკით და სხვა სნეულებით დაავადებულნი. კლიმატური მკურნალობა აქ არ განისაზღვრება დამით ჰაერზე ძილით. დილა იწყება ჰიგიენური ტანვარჯიშით ზღვის ნაპირზე და სხეულის დაზელით ზღვის წყლით. დღის სამედიცინო რეჟიმშია ჰაერისა და მზის აბაზანები, სიარული, დღის ძილი ნაპირზე, მოძრავი თამაშობანი, წლევანდელი ზამთარი არ ანებივრებდა სტუმრებს მზიანი დღეებით. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 750-ზე მეტი მუშა და მოსამსახურე დაბრუნდა შინ მზისაგან გარუჯული. ყველა ისინი ექიმის მითითებით დადიოდნენ აეროფოტარიუმში, სადაც დილიდანვე ინთებოდა ხელოვნური მზეკვარცის მომსხივებელი.

სანატორიუმის ექიმებმა შეიმუშავეს და კურორტის ყველა ჯანმრთელობის კერას ურჩიეს აეროფოტარიუმში ულტრაიისფერ მოსხივებასთან შეხამებით საჰაერო აბაზანების მიღების მეთოდიკა.

ახლა ყოველ ჯანმრთელობის კერაში მოწყობილია სპეციალური კლიმატური პალატები. აქ ფართოდ იყენებენ ღამისა და დღის ძილს აივნებზე საძინებელ ტომრებში. მთელი წლის განმავლობაში ღიაა კურორტის საერთო სამედიცინო პლაჟი. დარში მსურველებს შეუძლიათ მიიღონ მზისა და ჰაერის აბაზანები, საძინებელი ტომრები ძილისათვის ზღვის ნაპირზე. ღრუბლიან და ავდრის დღეებში სანატორიუმის სტუმრები იღებენ ხელოვნური მზის აბაზანებს.

ი. ჯიბუტი.

წყალი მინდვრებს, ბაღებს

ცხრა ათასი და მეტი ჰექტარით გაიზარდა მიმდინარე სეზონში სარწყავი მიწათმოქმედების ფართობი. სარწყავი წყალი მიიღეს კასპის, სიღნაღის, მცხეთისა და სხვა რაიონების მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

გრძელდება ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობა. მათგან უმნიშვნელოვანესია ზემო ალაზნისა. ეს იქნება ურთულესი ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელიც დააკმაყოფილებს მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მოღწევების მოთხოვნებს ირიგაციის დარგში. უკვე შესრულებულია მთავარი კვანძის მშენებლობის სამუშაოთა ნახევარზე მეტი, გაყვანილია პირველი რამდენიმე კილომეტრი მაგისტრალური არხი.

„წყალმშენის“ ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოთა კოლექტივები წარმატებით ეჯიბრებიან ერთმანეთს ზემო ალაზნის სისტემის პირველი რიგის საექსპლოატაციოდ ვადამდე გადაცემისათვის.

მთელი საექსპლოატაციო სამუშაოები მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სისტემაში დამთავრდება ვადაზე ერთი თვით ადრე.

„საქართველო“ პლანტაციებში

კარგ შედეგებს იძლევა ჩაის მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში პლანტაციების დამუშავებაზე უნარიანად იყენებენ თვითმავალ შასის საჭრელი აპარატებით და სხვა კიდული იარაღებით. მუშები სწრაფად ასრულებენ ნიადაგისა და ბუჩქების მოვლის დავალებებს. მეტ საწარმოო წარმატებას იძლევა ფოთლის მექანიზებული კრეფა მანქანა „საქართველოთი“. მოსავლის ხელით კრეფის დროს საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა 2.500-მდე კაცი, ხოლო „საქართველოს“ გაჩენის შემდეგ მუშაობს 500 კაცი. ამასთან რამდენჯერმე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა თვითღირებულება.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა პლანტაციების საშემოდგომო-საზამთრო მოვლა და ახლა ემზადება ფოთლის კრეფის ახალი სეზონისათვის.

წელს რესპუბლიკაში ჩაის ფოთოლი მექანიზებულად მოიკრიფება 8 ათას ჰექტარზე, აქედან მნიშვნელოვანი წილი მოდის ინგირის საბჭოთა მეურნეობაზე.

ფრიდონ ხალვაში

სიცოცხლე

თბილისელ „საქართველოს“

ჩემი სიცოცხლით სავსეა გემი,
უხსოვარ ჟამს რომ გასულა ზღვაში.
ატყვია კვალი ღელვის და ნგრევის,
მიჰყვება წვიმა მუქი და მლაშე.
ის გემი ლურჯი სამშობლოს დროშით
ომივით ამტყდარ გრიგალებს ებრძვის,
ზანტად უღებენ ბოღაზებს მორჩილს
ხმელეთის წვენით დამძღარი ზღვები.

გაავებული ტალღების ხვევით
სავალი ხშირად უმღვრია მტერმა,
გემმა კი ანძის აწვდილი ხელით
ცაზე რამდენი იმედი წერა.
ბევრი მეკობრე ლესავდა მახვილს,
სიკვდილის ბევრმა ქარებმა სცემეს,
მაგრამ საკუთარ ხმით კვლავ გასძახის
მსოფლიო ზღვებში მიმავალ გემებს.

სადღაა პონტო, კოლხეთ-ლაზიკა, —
დღესაც კითხულობს უკვდავი ლაზი.
პეტრას მაღალი ზარების რეკვა
შორს ხანძარივით ჭრება ლამაზი.
ზვიად ნანგრევებს და ოქროს ვერძებს
პატრონობს ორი ათასი წელი.
ძველი ზვარიდან დაშვებულ ლერწმებს
ნამად ეცემა მედეას ცრემლი.

გაყიდულ შვილთა კივილი მისდევს,
ღრუბლად ეყრება დედათა თმები.
ზღვაში ჩამოაქვს ნილოსის ზვირთებს
მამელუკების სისხლის წვეთები.
იქ, არსიანზე ტირის ავდარი,
მიტაცებული ხმა მეძებს ძმური,
სადღაც იღვიძებს ფერეიდანი,
როგორც ტკივილი და საყვედური:

— მამულო, რადგან მიდგია სული,
რომელიც უნდა ვახსენო ღმერთი,
სადაც ვლოცულობ,
როგორც ვლოცულობ,
თუ კი ვლოცულობ,
ვლოცულობ შენთვის.
გასჭერი, გემო, ამაყად ზვირთი,
ნუ გეშინია, არა ხარ ნავი.

რომ ძვირფასია ეგ შენი ტვირთი
მიტომ დაგყვება მტრის თვალი ავი.
სამშობლოს ქარი ჰკიდია აფრად,
დატვირთულია სიცოცხლით გემი
და მზიან ნაყოფს გაგონილს ზღაპრად
ახლავს ქართული სიმწიფის გემო.
გემს საქართველო თავიდან ერქვა,
ის, ვით ნაწილი დროთა და ერთა,
მიაპობს დიად უსასრულობას
პლანეტის ერთად, სიცოცხლის ერთად.

დღითიდღე იზრდება ქალაქი წულუკიძე. სურათზე თქვენ ხედავთ ახალი მაღაზიის „სავაჭრო ცენტრის“ ახალ შენობას, რომელიც ახლახან გადაეცა ექსპლოატაციაში.

გმადლობთ, ექიმო!..

ქარხველ მეტალურგთა ქალაქში

რუსთავი. ამბობენ, ყველა საავადმყოფო ერთიმეორეს გავსო. ეს ასე არ არის. თუ გულდასმით დააკვირდები, თითოეულ მათგანს აქვს არა მარტო გარეგნული სახე, არამედ შინაგანი ხასიათიც, რომელსაც განსაზღვრავს ის ამოცანა, რაც კოლექტივს თავის მთავარ, გადამწყვეტ ამოცანად მიაჩნია. საკუთარი ამოცანა აქვთ **რუსთავის საქალაქო საავადმყოფოს** მედიკებსაც: ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ ავადმყოფი რაც შეიძლება ნაკლებად გრძნობდეს თავს ავადმყოფად. ეს რთული და ძნელი საქმეა, რომელიც თვითეული ექიმისაგან, მედიცინის დისაგან, სანიტარისაგან მოითხოვს გულისხმიერებას, სულიერ სითბოს, ზოგჯერ მამაცობასაც.

რუსთავის საქალაქო საავადმყოფო უახლესი სამედიცინო აპარატურით და მოწყობილობით აღჭურვილი მრავალპროფილიანი სამკურნალო დაწესებულებაა. აქ მუშაობენ 50 ექიმი, 97 მედიცინის და, 13 ლაბორანტი, 110 სანიტარი. ისეთი ექიმები, როგორიც არიან მ. კობახიძე, ნ. ჯავახიშვილი, პ. კუნჭულია, გ. ჩეკურიშვილი, შ. ფალავანდიშვილი და სხვები, ცნობილი არიან არა მარტო რუსთავში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. მათ არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენიათ. საავადმყოფოს დაარსების დღიდან აქ მუშაობს აგრეთვე ქირურგი, ამჟამად მთავარი ექიმი გ. ხუციშვილი.

ბევრ საინტერესო ჩანაწერს ნახავთ საავადმყოფოს შთაბეჭდილებათა წიგნში. ვის არ ჩაუწერია აქ თავისი შთაბეჭდილება, ესენი არიან ამერიკის შეერთებული შტატებისა და სენეგალის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ბულგარეთის, ბირმისა და ინდოეთის, იაპონიისა და რუმინეთის წარმომადგენლები. აი რას წერენ სრულიად ინდოეთის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების ფედერაციის დელეგატები **ბხატაჩარია** და **ნამბისონი: „გაოცებული ვართ იმით, რომ ვნახეთ ასეთი სამედიცინო დაწესებულება, როგორიც არის რუსთავის საქალაქო საავადმყოფო. სისუფთავე იდეალური, მომსახურება ჩინებული...“** ბრაზილიელი ექიმი **იაბლე** წერს: **„დიდი კმაყოფილება განვიცადე, როცა ახალგაზრდა ქალაქში ვნახე ასეთი დიდი საავადმყოფო და ასე კარგად დაყენებული მუშაობა“.**

რა კარგ, გულთბილ სიტყვებს წერენ თვით ავადმყოფები: „გმადლობთ, ექიმო!...“, გმადლობთ, კეთილო, გულისხმიერო ადამიანო!...“ — ამბობენ ისინი და ახალ წარმატებებს უსურვებენ საავადმყოფოს მუშაკებს.

ოჯახის სიხარული

ლენტეხი. თმაშეუვერცხლილმა ქალმა განჯინა გამოაღო და მრგვალ მაგიდაზე ოთხი ლურჯყდიანი დიპლომი დაამწკრივა. შვილების ცხოვრების დიდი საგზური ოთხი დიპლომია მის ოჯახში.

კოლმეურნე ბაბილი ონიანმა ექვსი ვაჟკაცი აღზარდა და ყველას გზა უმაღლესი სასწავლებლისაკენ დაულოცა. ალექსანდრე ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა, ვახტანგი — სამთო ინჟინერი, ნოდარი — სპორტსმენი, ვიტალი — ფილოლოგი, მომდევნო ძმა ვასო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია, ნაბრძალა შოთა კი პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსზე სწავლობს.



წაუკითხეთ თქვენს პატარებს

ვაჟა-ფშაველა

გაგაფხულდა

ამწვანდა მთები,
ამწვანდა ჭალა,
ბუნება ტურფად
გადაიშალა.
მწვანობს ჯეჯილი,
ყვავის ხეხილი,
თეთრად ცხვარი ჩანს
გადაფენილი.
ფეთქენ იანი,
დღეა მზიანი,
არავინ მისცეთ
ყვავილთ ზიანი!

აკაკი წერეთელი

ყვავწვილი და ჭექქვა

ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა.
ალერსით უთხრა პეპელას: თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არა გღლის მთელი დღე მოუსვენარი ფრენაო?
პეპელამ უთხრა: მინდორში ვცხოვრობ მე უზრუნველადო,
იქ ყვავილები გაშლილა ჩემს საზრდოდ, საწუწვნელადო.
რაც დღე მაქვს, ტკბილად ვატარებ, ჩემს ნებაზედაც დავფრენო,
მაგრამ დღეგრძელი არა ვარ, გამიშვი, ნუღარ მაცდენო!
ყმაწვილმა ხელი გაუშვა, გაფრინდა ნაზი პეპელა
და, თითქოს, ნიშნად მადლობის, თავს ევლებოდა ნელნელა.

გივი ჯიჯინაძე

საქართველო

მოკამკამე ცაო,
ზღვაო ლიცლიცაო.
დათოვლილო მთაო,
ჯეჯილო და ტყეო,
მთაო ქათქათაო.
სულ იშრიალეო!
საქართველოს მზეო,
სულ იგიზგიზეო!

თინათინ ჯავახიშვილი

მზე ყველას უყვარს

ცას მტრედისფრად მოედო ნისლი. გათენება შორს იყო. ცელქმა ნიავმა გადაურბინა ფოთლებს. ფოთლებმა ტაში შემოჰკრეს:

— მალე მზე ამოვა! გაგვათბობს! ნამს ამოაშრობს, მხიარულად ავბრიალდებით!

ფრინველებში პირველი ტოროლა გამოფხიზლდა. ცაში აფრინდა, შეინავარდა, დაიწკრიალა:

— დილილმე! რა კარგია! მალე მზე ამოვა!

ბეღურამ გადასძახა თავის ოჯახს:

— რაღა დროს ძილია? რატომ არ ყივყივებთ? საცაა მზე ამოვა!

უცებ ყველაფერმა გამოიღვიძა, ადამიანებიც წამოდგნენ.

— მზე ამოსულა, მზე! ჩქარა, ტანთ ჩავიცვათ! — ყვიროდა ლაშა.

მზე კისკისებდა, უხაროდა, რომ ყველას ესიამოვნა მისი გამოჩენა.

გიორგი კაჭახიძე

დედაქალაქი თბილისი

მხრებს შლის, გუგუნებს თბილისი,
ბევრი სიკეთის მშობელი;
ყურს უგდებს ყველა ქართველი,
ქალაქი, დაბა, სოფელი.
სამშობლოს მთა-ბარს ჰფენია
მისი ელვარე ნათელი,
მის გაბრწყინებულ ხეივნებს
შეჰხარის ყველა ქართველი.
მხრებს შლის, ყვავილობს თბილისი,
დამჩატებია ნაღველი,
ბევრი ჰყავს შვილი განთქმული,
მიმსვლელ-მომსვლელი, მნახველი;
შორს ისმის მისი გუგუნი,
მისი ქართული სახელი.

იოსებ დავითაშვილი

ხეხილი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იხაროს იმის მარჯვენამ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!
ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,
მზემ შუქი გფინოს თანაო,
ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყრებმა მოგძახონ ნანაო.
ამაღლდი, თავი დაისხი,
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო,
იმისი საზრდო შეიქენ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

„ყვარლის რაფსოდია“

საქართველოს დამსახურებული მხატვრის რ. თარხან-მოურავის გრაფიკულმა ნაწარმოებებმა მას ორიგინალური ოსტატის სახელი მოუპოვა. მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ რ. თარხან-მოურავი მოწოდებით ფერმწერია, რადგან თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების პირველი წლებიდანვე მუშაობდა მხოლოდ და მხოლოდ გრაფიკაში და მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ დაუბრუნდა თავის თავდაპირველ პროფესიას.

პირველი ცდა საკმაოდ საფუძვლიანი გამოდგა — 42 კვადრატული მეტრი „საერთო ფართობის“ ტრიპტიქი. ამ დიდი ტილოების შექმნამდე დაწერა მათი ესკიზები. ორი აზრი არ ყოფილა. მისმა ესკიზებმა მაღალი შეფასება მიიღო.

ტრიპტიქი ეძღვნება ძველ ქართულ რიტუალს — რთველს. იგი დაამშვენებს ყვარლის ღვინის საცავის სადეგუსტაციო დარბაზს, სადაც გათვალისწინებულია **მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესების** მოწყობა. ტრიპტიქის ლეიტმოტივია კაღური „მრავალჟამიერის“ სიტყვები „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. სამივე ტილო ყვითელი და ნარინჯისფერი ტონებისაა, რაც დამახასიათებელია კახეთის შემოდგომისთვის. სურათის მოცულობითი ნახატი ბარელიეფს უახლოვდება.

მხატვარი თვითონ ამბობს, რომ ყოველთვის აინტერესებდა მოცულობითი ნახატი და კედლის მონუმენტური ფერწერა. „ყვარლის რაფსოდია“ — მისი პირველი ცდა ამ ჟანრში — შესრულებულია ტემპერით, ძალიან ხანგამძლე საღებავით.

რ. თარხან-მოურავმა თავისი სურათები წაიღო ყვარელში, რათა „მოაზომოს“ დარბაზს. ავტორმა ადგილზე შეიტანა მთელი რიგი კორექტივები და უახლოეს დროში დაამთავრებს მუშაობას.

ტრიპტიქს დაამშვენებს კ. გურულის ჰედური ნამუშევრები სპილენძზე.

მიზაი ზიჩი ეკრანზე

ფილმი უნგრელ მხატვარზე

უნგრეთისა და საქართველოს ტელევიზიის რეჟისორებმა იანოშ მატემ და სერგო ეფხიშვილმა დაამთავრეს ფილმის გადაღება შესანიშნავი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის შესახებ. მათვე შექმნეს სცენარი შ. სალუქვაძესთან ერთად.

გამოჩენილი ფერმწერის ზიჩის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია ქართველი ხალხისათვის. იგი უდიდეს ინტერესს იჩენდა საქართველოსადმი, მისი ხალხისადმი, მეგობრობდა მოწინავე ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელთან. უნგრელი მხატვარი შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პირველი ილუსტრატორი იყო. ეს ილუსტრაციები დღემდე რჩება ერთ-ერთ საუკეთესოდ და მათ სიამოვნებით ბეჭდავენ პოემის ახალ გამოცემებში. დიდი სიყვარულის ნიშნად ზიჩიმ ეს ილუსტრაციები საჩუქრად გადასცა ქართველ ხალხს.

ფილმი მოგვითხრობს მიხაი ზიჩის შემოქმედებით გზაზე, მის ცხოვრებაზე უნგრეთში, საქართველოში, პეტერბურგში, საფრანგეთში. როგორც ცნობილია, მხატვარი რამდენჯერმე ყოფილა საქართველოში. იგი ძალიან დაინტერესდა რუსთაველის პოემით და დაებადა აზრი შეექმნა ილუსტრაციები. კადრები გვიჩვენებენ „ცოცხალ სურათებს“ — ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ სცენებს, რომლებიც მხატვარმა განახორციელა. დიდი ადგილი ეთმობა მხატვრის ნამუშევართა გამოფენებს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით უნგრეთში. მაყურებლები ნახავენ ზიჩის სახლ-მუზეუმს მის სამშობლოში. ფილმშია კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ იმ ადგილებს, სადაც მხატვარი დადიოდა მასალების შესაგროვებლად ღერმონტოვის „დემონისათვის“.

რეჟისორებმა იანოშ მატემ და სერგო ეფხიშვილმა გამოიყენეს იმ ადამიანთა ფოტოსურათები, რომელთაგან ზიჩი ხატავდა რუსთაველის გმირებს. კადრები გვიჩვენებენ აგრეთვე მხატვრის ნაკლებად ნაცნობ ესკიზებს.

ახლა მიმდინარეობს ფილმის გახმოვანება ქართულ ენაზე. პრემიერა გაიმართება თბილისსა და ბუდაპეშტში.

ფილმი მიხაი ზიჩის შესახებ უნგრელი და ქართველი ხალხების მეგობრობის კიდევ ერთი მყარი ფურცელია. ამ მეგობრობის გამოვლენებაა ის ფაქტიც, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას წოდა უნგრელი მხატვრის სახელი.

საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა *თბილისი*

ხალხის სიყვარული

80 წლის სანდრო ჟორჟოლიანი



ქართულ კინოსა და თეატრს ყოველთვის ჰყავდა კომედიური ჟანრის არა ერთი ნიჭიერი მსახიობი. **სანდრო ჟორჟოლიანი** თავისი მდიდარი შემოქმედებით დღემდე იმ მსახიობთა ტრადიციების განმგრძობი და გამამდიდრებელია.

1921 წლიდან, როგორც უკვე პროფესიონალმა მსახიობმა, მან მუშაობა დაიწყო რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. სწორედ ამ თეატრში გაიფურჩქნა მსახიობის უზადო ნიჭი, იპოვნა დიდი გზა და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, დიდი ამაგი მიუძღვის რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს. მისი ხელმძღვანელობითა და პედაგოგიური ალღოს მეშვეობით, სანდრო ჟორჟოლიანი ყოველდღიურად იძენდა რაღაც ახალს, იმაღლებდა მსახიობურ ოსტატობას. პირველად მარჯანიშვილთან ითამაშა მან მოლიერის „გააზნაურებულ მდაბიოში“. მას მოჰყვა შემდგომი როლები. ხოლო 1926 წელს, როდესაც კოტე მარჯანიშვილი თავისი დასით ჭუთაისის ახლადდაარსებულ თეატრში გადავიდა, სანდრო ჟორჟოლიანს, ქართულ სცენაზე პირველს მიენდო ერთ-ერთი რთული და საინტერესო სახის, ყვარყვარე თუთაბერის ხორცშესხმა.

შემდეგ ისევ თბილისი. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ს. ჟორჟოლიანმა შესანიშნავი სახეები შექმნა და იგი აღიარეს კომიკური როლების ბრწყინვალე შემსრულებლად.

კინო? გავიხსენოთ სანდრო ჟორჟოლიანის მიერ ეკრანზე შექმნილი სახეები, რომლებითაც ყოველთვის იამაყებს ჩვენი კინემატოგრაფია.

პირველი როლი — ა. ბეკ-ნაზაროვის მიერ დადგმულ სურათში „ნათელა“. ეს იყო 1925 წელს. შემდეგ ნ. შენგელაიას „ელისოში“, მ. ჭიაურელის „უკანასკნელ მასკარადში“. ამ ფილმებში მსახიობმა ერთხელ კიდევ დაგვანახა დიდი კომედიური ნიჭი. ხოლო რაც შეეხება ნ. შენგელაიას „ნარინჯის ველს“, ამ სურათში ს. ჟორჟოლიანის მიერ შექმნილი უჭვნარა კოლმეურნე კოსტაიას სახე ჭემარიტად რომ დაუვიწყარია.

გავიხსენოთ ს. დოლიძის „დარიკო“, შ. მანაგაძის „ჭირვეული მეზობლები“, დ. რონდელის „დაკარგული სამოთხე“, ს. დოლიძის „ჭრიჭინა“, თ. აბულაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, და მრავალი სხვა დიდი და მცირე როლი, ყოველ მათგანში ჩანს ახალი, მეორისაგან განსხვავებული შტრიხი და თვისება. და რაც მთავარია, ფაქიზი ქართული იუმორი, დიახ, სწორედ ქართული, ეროვნული.

წლები გარბიან და სანდრო ჟორჟოლიანი ოთხმოცი წლისა გამხდარა.

თბილისი, ხელოვნების მუშაკთა სახლი. აქ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა, თბილისის კინოსახლმა და ხელოვნების მუშაკთა სახლმა, შემოქმედებითი საღამო გაუმართა გამოჩენილ მსახიობს.

საღამო გახსნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა კინორეჟისორმა სიკო დოლიძემ.

სანდრო ჟორჟოლიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საცენზარო განყოფილების რედაქტორმა მიხეილ მგალობლიშვილმა.

150-მდე როლი თეატრის სცენაზე, 40-ზე მეტი დიდი და მცირე როლი კინოში. ხალხის განუზომელი სიყვარული და დაფასება. იგი ბედნიერი კაცია. კვლავაც მრავალჯერ დაუკრავენ ტაშს მის ჭეშმარიტ ხელოვნებას, რადგან იგი უკვე ხალხის ხელოვნებაა.

ვ. მარდალეიშვილი.





სურათებზე: ს. ჟორჟოლიანი საიუბილეო საღამოზე და ფილმებში „ნარინჯის ველი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (ზ. ანჯაფარიძესთან ერთად).

ახალი წიგნები

არგონავტებიდან ჩვენს დრომდე

„საქართველო“ — ასე ეწოდება ლამაზად გაფორმებულ წიგნს ჩვენი რესპუბლიკის შესახებ, რომელიც ახალი ამბების სააგენტოს გამომცემლობამ გამოუშვა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე. მრავალ უცხოელ ტურისტს, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში — უძველესი კულტურისა და ზღაპრული ბუნების მხარეში, საშუალება ეძლევა დაწვრილებით გაიცნოს ჩვენი რესპუბლიკის ისტორია, მისი დღევანდელი დღე.

საქართველოს გაცნობას მკითხველი იწყებს ყდით, რომელზეც გამოსახულია თბილისის ხედი მთაწმინდიდან. შემდეგ მას შეუძლია თვალი გაადევნოს ამ მხარის ისტორიას არგონავტებიდან ჩვენს დრომდე, გაეცნოს გეოგრაფიულ მდებარეობას, ბუნებრივ სიმდიდრეებს. მის წინაშე გადაიშლება საქართველოს შორეული წარსულის სურათები — მტრის შემოსევები, სისხლისმღვრელი ბრძოლები, რომლებსაც არაერთხელ გადაუქცევიათ საქართველო ნანგრევებად. იგი შეიტყობს თუ როგორ აღადგენდნენ ადამიანები ნანგრევებიდან თავიანთ ქვეყანას, აშენებდნენ ყოველივე იმას, რითაც დღეს ამაყობს ქართველი ხალხი.

წიგნში უყურადღებოდ არ არის დატოვებული ხალხის ცხოვრების, მისი სულიერი და პოლიტიკური განვითარების არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი.

წიგნის უკანასკნელი თავი „ექსპორტი 65 ქვეყანაში“ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოზე, როგორც დიდად განვითარებულ სამრეწველო რესპუბლიკაზე.

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული. იგი აცნობს მკითხველს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს, ახალმშენებლობებს, მინდვრებისა და ქარხნების მშრომელებს, კულტურის მოღვაწეებს, სპორტსმენებს, ხალხურ ტალანტებს. ილუსტრაციები მთავრდება სიმბოლური სკულპტურის „ქართლის დედის“ ფოტოსურათით.

ახალი ამბების სააგენტოს გამომცემლობას განზრახული აქვს წიგნების მთელი სერიის გამოცემა საქართველოზე. პირველი წიგნები „საქართველო“ და „რუსთაველის ქვეყანაში“ მკითხველმა უსვე მიიღო. მალე გამოვა წიგნი-ალბომი საქართველოს შესახებ, ბუკლეტები „საქართველოს ისტორიული ძეგლები“, „საქართველოს კურორტები“, „საქართველოს სამხედრო გზა“ და სხვა. ახალი ამბების სააგენტოსათვის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი ამზადებს გამოსაცემად წიგნებს ძველი ქართული არქიტექტურის, დაზგური ფერწერის, ჰედურობის შესახებ. ახალი ამბების სააგენტოს გამომცემლობა უცხო ენებზე გამოუშვებს აგრეთვე საქართველოს მეგზურებს.

ქართული მოტივები



სნოს ციხე

ვანო ურჯუმელაშვილი

მდუღრის ჭამს

•

მოთხრობა

1.

მიჰქრიან ქვემეხგამობმული მანქანები, მიგრუხუნებენ მძიმე ტანკები. ცას სწვდება გზაწვრილებზე ავარდნილი მტვრის კორიანტელი.

ირგვლივ ტრიალი მინდორია. იმათ იქით მაღალი კლდოვანი მთები. თვალს იტაცებს ბრინჯის, ცერცვის, მუხუდოს მშვენივრად მოვლილი ნათესები.

მზე სწვავს ყველაფერს, სიცხის ბუღი ტრიალებს, პაპანაქებაა. ოფლში ვიწურებით, გვიჭირს სუნთქვა, გვიმძიმს სიარული.

— მარჯვედ ბიჭებო, მარჯვედ! პორტარტურამდე ორი საათი სავალიღაა! — ვამხნევებ ჩემი ოცეულის ჯარისკაცებს, არაჭათგამოცლილნი ძლივს რომ მოაბიჯებენ.

მართლაც ჰორიზონტზე მოჩანს უზარმაზარი პორტის კონტურები.

ოცეულების თავზე ტალღასავით გადაირბინა წინა რიგებიდან წამოსულმა ბრძანებამ:

— ბატალიონო, სდექ! შეისვენეთ!

თამბაქოს მოწევაც ვერ მოვათავეთ, რომ პოლკის შტაბიდან ბრძანება მივიღეთ, გზის მარჯვენა მხარეს მინდორზე დაბანაკდითო.

2.

ღამით პოლკის საფინანსო განყოფილების უფროსი კაპიტანი ერმაკოვი მძინარეს თავზე დამადგა, ხელით მანჯღრევდა, თან მეუბნებოდა — კაცო, სიურპრიზი; საოცარი სიურპრიზიო!. მხოლოდ იცოდე, მაღარიჩი შენზეაო. ჯერ გამაგებინე, რაშია საქმე, პურმარილზე როგორ გალაპარაკებ, ფული შენი, გადახდა ჩემი-მეთქი.

— დღეს მე და ჩემმა მოადგილემ პორტარტურში ერთი ევროპული ყაიდის რესტორანში ვისაუზმეთ. ფოიეში შესვლისთანავე თვალში გვეცა კედელზე დახატული სურათი: ქართველ რაინდს ხელით შეპყრობილი ვეფხვი ჰაერში აუტაცნია. დარბაზშიც ასეთივე სურათებია. ერთგან იგივე რაინდი წყლისპირას ზის ჩაფიქრებული. ქართველი მზეთუნახავი ქალებიც არიან წარმოდგენილი, ბოლოს რაღაც ზღაპრული ციხის აღების სურათია. თან რესტორანში მწვადისა და ხინკლის მადისამშლელი სუნი დგას.

ერმაკოვის ნათქვამმა ჩემს ჯარისკაცულ ფანტაზიას ფრთები შეასხა და რაღა არ წარმოვიდგინე.

ვინ იცის, იქნებ პორტარტურში ვინმე ქართველი ცხოვრობს. ან შეიძლება რესტორანის პატრონი საქართველოშია ნამყოფი და ჩვენგან აქვს გადაღებული ქართული საჭმელების კეთება-მეთქი. მაგრამ სურათები? რატომ მაინცდამაინც რუსთაველის გმირებით დაამშვენა დარბაზები?

მეორე დღეს ასეულის მეთაურს დავეთხოვე. ნაშუადღევს გზად მიმავალ მანქანას მოვახტი და რაღაც ოციოდე წუთში პორტარტურში ამოვყავი თავი...

მალე მოვძებნე რესტორანიც, რომელსაც რუსულად აწერია „კაცი ვეფხვით“. ფოიეში შესვლისთანავე თვალში მეცა კედელზე დახატული ზღაპრული სურათი: „ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა!“ ისე ვიყავი სურათის ცქერით გატაცებული, აღარ მახსოვს, ვინ მიმაცილა მუხის კარამდე, ვინ გამიღო იგი და როგორ შევედი ფართო დარბაზში.

მაგიდაზე მსხდომი სხვადასხვა ფერის ადამიანები სვამდნენ ღვინოს, შეექცეოდნენ საჭმელს. ელდანაცემივით ვიდექი უძრავად და გაბრწყინებული თვალებით შევცქეროდი ჩემთვის ესოდენ მახლობელ ადამიანებს: ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს, ნესტანდარეჯანსა და თინათინს... თავიანთი ზღაპრული სილამაზით, მოელვარე სხივოსანი თვალებით ირგვლივ შუქს რომ ჰფენ-

როგორ ხედავს ბუ?

წაიკითხეთ, საინტერესოა

როგორ ხედავს ბუ, კატა, ხვლიკი ან შველი? ამ კითხვაზე ზუსტად გიპასუხებთ ორიგინალური ფოტოთვალი, რომელიც შექმნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ორგანული და ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ლ. მელიქაძემ** და უფროსმა ინჟინერმა **ი. ბაუმბერგმა.** ხელსაწყო ამოდელირებს პირუტყვთა და ადამიანის თვალის მგრძნობიარობას სინათლისადმი. ფოტომეტრი არსებულთაგან განსხვავებით აღრეცხავს სინათლის სხვადასხვა წყაროს ინტენსივობას, რომლებიც ახასიათებენ მაგალითად, სხეულების ტემპერატურას, ლუმინოფორებისა და ცოცხალი უჯრედების ნათებას.

ახალი ფოტოთვალის ამ არაჩვეულებრივ თავისებურებებს განსაზღვრავს ფიგურული დიაფრაგმა „ნიღაბი“, რომელსაც შესწორებები შეაქვს ხელსაწყოს მთელ ოპტიკურ სისტემაში. იგი თითქოს და აპროგრამირებს მოცემულ მგრძნობიარობას სხივის სპექტრის ყოველ უბანში. ამიტომ ფოტომეტრს შეუძლია „ცუცუროს“ სამყაროს — აღიქვას სინათლე და ფერი ადამიანის თვალით. ამგვარი „მხედველობა“ საჭიროა, კერძოდ, საწარმოო შენობების, აუდიტორიების, არქიტექტურული ნაგებობების, განათების ობიექტური შეფასებისათვის და გამდნარი ლითონის ზუსტი ტემპერატურის განსაზღვრისათვისაც კი.

ცნობილი ფოტომეტრები შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში. თითოეულ ამ ხელსაწყოს აქვს მისთვის დამახასიათებელი შერჩევითი მგრძნობიარობა. ისინი ჰგვანან ან ბუს, ან ადამიანის მხედველობას, რომელთაგან ერთი ხედავს ღამით, ხოლო მეორე დღისით. ამიტომ არსებული ოპტიკური საზომები განათების ერთნაირ პირობებში იძლევიან სინათლის სხვადასხვა შეფასებას და მოითხოვენ დამატებით შრომატევად გაანგარიშებებს. ქართველ მეცნიერთა ფოტოთვალი გამორიცხავს ამ ნაკლოვანებებს და ისიც კი შეუძლია, რომ ობიექტურად მოგვცეს ფერის დახასიათება.

ოპერას დგამენ მოსწავლეები

ყველაფერი ისე იყო, როგორც ნამდვილ თეატრში. რამპის შუქი ანათებდა სცენას. დეკორაციები ქმნიდნენ ზღაპრულად მშვენიერი ტყის სამყაროს. უკრავდა მუსიკა და პულტთან იდგა კონცერტმაისტერი. ნამდვილი სპექტაკლი იყო, მაგრამ არც თუ ჩვეულებრივი. თბილისის 41-ე საშუალო სკოლის კლუბის სცენაზე გამოდიოდნენ ნორჩი მახიობები, ხოლო დარბაზში ისხდნენ მოზარდი მაყურებლები — დედები და მამები, სტუმრები. სპექტაკლი ყურადღებას იპყრობდა კიდევ იმით, რომ უნდა ნახათ ნამდვილი საბავშვო ოპერა თვით ბავშვების შესრულებით. მღელვარება დიდი იყო. ღელავდნენ დედები და მამები, ღელავდნენ სპექტაკლის შემქმნელები — კომპოზიტორი ლია რაბიტაშვილი, ლიბრეტოს ავტორი პოეტი გივი ჯიჭინაძე, დამდგმელი რეჟისორი ქეთევან ფიჩხაძე და, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად თვით „მსახიობები“.

ოპერა მელოდიურია, ითვალისწინებს ბავშვის ხმის შესაძლებლობებს, მდიდარია ცეკვებით. ცეკვების დასადგმელად მოიწვიეს ბალეტის სოლისტი ვ. ესებუა.

ამ არაჩვეულებრივი დადგმის მონაწილენი არიან მეოთხე და მეხუთე კლასების მოსწავლეები.

დაგეძებენ, მოგელიან

გიორგი (გიგა) პორფირეს-ძე ასათიანს, დაბადებულს 1919 წელს ცაგერის რაიონის სოფელ მახაში, ეძებენ დები — ნინო (ვარდო), დონია, მარო და სონია ასათიანები.

გესარიონ აბესალომის-ძე ავალიანს, დაბადებულს 1919 წელს ვანის რაიონის სოფელ ქვედა სულორში, ეძებს ძმა — სიმონ ავალიანი.

ლოვა, გრანტიკა მინას-ძე, ევგენია მინას ასულ მურადოვებს, ეძებს ძმა — ვანო ალექსანდრეს-ძე მურადოვი.

შალვა კონსტანტინეს-ძე და კორნელია მაქსიმეს ასულ იოსელიანებს ეძებს ძმა — დავით კონსტანტინეს-ძე იოსელიანი.

გიორგი ნიკოლოზის-ძე ქართველიშვილს, დაბადებულს 1922 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში, ეძებს მისი აღმზრდელი და — ნინო ნიკოლოზის ასული ქართველიშვილი.

სურათებზე: გიორგი ასათიანი (მარცხნივ) და ბესარიონ ავალიანი.





3.

დნენ. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჩემი დიდი თანამემამულენი ხელებგაშლილი მეგებებოდნენ ღიმილით.

— რუს კაპიტან! დაბრძანდით! — მითხრა ტანდაბალმა ოფიციანტმა, რომლის მოახლოება ვერც გავიგე.

რესტორანის პატრონის ნახვა მინდა-მეთქი, მივმართე მე. ოფიციანტმა რატომღაც უნდობლად შემათვალიერა და მომიგო, დიდი სიამოვნებით, წამობრძანდით, და წინ გამიძღვა.

იგი ფეხზე იდგა, დინჯად აბოლებდა ბამბუკის ყალიონს. თამბაქოს კვამლში ისე მოჩანდა, ვით ნისლმოხვეული დათოვლილი მთა. ქრისტესავით წყლიანი თვალებით დამაცქერდა და ბოხი, მაგრამ სულში ჩამწვდომი ხმით მითხრა:

— ქართველი ხარ, ბიჭო?

— ჰო, ქართველი ვარ!

თითქოს რაღაც დიდი ტანჯვა-წვალებით იყო ამ კაცის სახე დაჭანცული, მაგრამ უმალვე შეკრული წარბები გაეხსნა და მოქუშულ სახეზე ღიმილი გადაეფინა. თან კოჭლობით ჩემს შესახვედრად გამოემართა. აბრეშუმის შავი ხალათის გრძელი სახელოები სამი მოხდენილი მოძრაობით მაჯაზე ისე გადაიგდო, რომ თავისთავად დალაგდა ლამაზ ნაკეცებად. ღონივრად ჩამომართვა ხელი, გადამკოცნა. იქვე დივანზე დამსვა და თვითონაც გვერდით მომიჯდა.

— გორელი იქნები! — სიცილით მითხრა — და მოფერებით მხარზე ხელი დამკრა.

— რაზე მეტყობა!

— სიტყვა-პასუხზე, გორელებმა იციან ხოს თქმა. მე კი ქუთაისელი ვარ! სახელად კოტე მქვია, გვარად გოცირიძე ვარ.

მეც ვუთხარი ჩემი სახელი და გვარი. მოხუცმა თვალები მოჭუტა, ფიქრს მიეცა, თითქოს დიდი ხნის მივიწყებულ ამბავს იხსენებსო და მცირე ხნის შემდეგ შემეკითხა:

— ერთი ეს მითხარი, ქუთაისში ხომ ხარ ნამყოფი?

— არა, არ ვყოფილვარ!

4.

— შე კაი კაცო, პორტარტურში ჩამოხვედი და ქუთაისში არა ყოფილხარ?

— რა ვქნა, ასე აეწყო ჩემი ცხოვრება.

— ჰმ, ნეტავი რა შენი მიკვირს! ის კი არა, მეც ისე წამოვედი საქართველოდან, კახეთი არ მენახა. დღესაც სანანებლად მაქვს, რა ღმერთი გამიწყრა, თელავში მაინც როგორ ვერ ჩავირბინე-მეთქი.

— დიდი ხანია საქართველოში არ ყოფილხართ? — ახლა მე ვეკითხები ბერიკაცს, რომლისადმი უცებ თანაგრძნობით, მოწიწებით განვიმსჭვალე.

— ეჰ!.. — თავი ჩაიქნია, რატომღაც უმძიმდა პასუხის გაცემა, მაგრამ ბოლოს ცრემლნარევი ხმით მომიგო, დიდი ხანია, თითქმის ნახევარი საუკუნეო.

—ქართულად რა კარგად ლაპარაკობთ, ოდნავაც არ დაგვიწყებიათ.

— ენის მეტი სხვა რა შემრჩა, რომ ესეც დამვიწყებოდა!

სხვა რაზე ვისაუბრებდით, თუ არა საქართველოზე. მოხუცი ათას რამეს მეკითხებოდა. სხვათა შორის იმასაც შემეკითხა, რამდენი ქართველი ცხოვრობს საქართველოში. ორ მილიონამდე-მეთქი, ვუპასუხე. რას ამბობ, მე უფრო მეტი მეგონა, ეს ოხერი ვიმატებთ თუ ვიკლებთო...

ამასობაში ოფიციანტმა შემოაღო კარი, პატრონს ხმადაბლა რაღაც მოახსენა და უმალვე გარეთ გავიდა.

წავიდეთ ერთი ჩვენებური პური ვჭამოთო, მითხრა მოხუცმა და წინ გამიძღვა.

გვერდით, პატარა ოთახში გაეშალათ ორი კაცისათვის მაგიდა. საუზმე და ღვინის ბოთლები ელაგა სუფრაზე. მაგიდას მივუსხედით თუ არა, ცხელ-ცხელი ხინკალი შემოგვიტანეს.

ჩვენი შეხვედრის სადღეგრძელო შევსვით და ხინკლით პირი დავიგემოვნეთ. მერე ჯიხვის რქით, რქასავით მორკალულმა მოხუცმა საქართველოს სადღეგრძელო შესვა და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა.

ოფიციანტმა ახლად დაკრეფილი ფერად-ფერადი ცოცხალი ყვავილები შემოიტანა და მე მომართვა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

სპორტი-1968

- ☐ ჩოგბურთი
- ☐ ჭადრაკი
- ☐ კალათბურთი
- ☐ ფეხბურთი

გაზაფხულთან ერთად ცოცხლდება სპორტის გულშემატკივრის გული. ეს ასე იყო ყოველთვის, მით უმეტეს, როცა საგრძნობლად ემიჯნებოდა ერთმანეთს ზამთრისა და ზაფხულის სახეობები. ახლა კი სულ სხვაა. ჩოგბურთსა და ფეხბურთს თამაშობენ ზამთარში, თხილამურებზე დარბიან გაზაფხულზე, ციგურებით სრიალებენ მაისშიც კი. ერთი სიტყვით ზღვარი აღარ არსებობს. და მაინც არსებობს გულშემატკივარი, რომელიც გაზაფხულს ყოველთვის მოუთმენლად ელის. ელის იმიტომ, რომ ტრადიციას ყოველთვის დიდხანს ინარჩუნებენ ადამიანები...

კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვისაუბრეთ სპორტზე. მოხდა კი რამ მნიშვნელოვანი ამ ხნის მანძილზე? სპორტი რის სპორტია, თუ არ არის მოძრაობა, წინსვლა. რამდენი სიამოვნება მოგვანიჭა ზამთრის ოლიმპიურმა თამაშებმა გრენობლში, მოცეგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატმა ყუნევაში. მაგრამ ეს ზამთრის სახეობებია და სამხრეთის ქვეყნები ვერასოდეს ვერ ბრწყინავენ მათში. ამიტომაც მივმართოთ ისევ ჩვენს ძველ, ნაცად სპორტულ სახეობებს.

ქართველი ჩოგბურთელები ძალიან შეეჩვივნენ ინდოეთს. გამარჯვება ყოველთვის სასიხარულოა, მით უმეტეს როცა მეორდება. თუ გახსოვთ, შარშან პირველად ესტუმრნენ ისინი ინდოეთს, მოიგეს აზიის ღია ჩემპიონატი და ინდოეთის პირველობაც. წელსაც იგივე გამეორდა. როგორც იტყვიან, აზიის „მთელი ოქრო“ ქართველ ჩოგბურთელებს ხვდათ.

რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, აქაც თავი გამოიჩინა შესანიშნავმა სპორტსმენმა ალექსანდრე მეტრეველმა. უკვე მესამე წელია ალექსანდრე ერთპიროვნულად ბატონობს საკავშირო სარბიელზე და როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, „მეტრეველის ერა“ საბჭოთა ჩოგბურთში კიდევ დიდხანს გაგრძელდება. მაგრამ დავუბრუნდეთ აზიისა და ინდოეთის ღია ჩემპიონატებს, რომლებშიც, როგორც წესი, მრავალი ძლიერი უცხოელი სპორტსმენი გამოდის.

ა. მეტრეველი, ისევე როგორც შარშან, დაუმარცხებლად იბრძოდა. ჯერ მოიგო რამდენიმე პატარა ტურნირი, შემდეგ კი აზიის ჩემპიონატი, რომელსაც შემდეგ ინდოეთის ჩემპიონის ტიტულიც მიუმატა.

უომბლდონის ტურნირის წინ ჩოგბურთელები მრავალ ასპარეზობას მართავენ, და მეტრეველიც ინდოეთიდან სკანდინავიაში გაემგზავრა. ორი წლის წინათ სკანდინავიის ღია ჩემპიონატში ა. მეტრეველმა ესპანელი მანუელ სანტანა დაამარცხა და პირველი ადგილი მოიგო. ამჯერად ა. მეტრეველი მეორე ადგილით დაკმაყოფილდა და სკანდინავიიდან პირდაპირ ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირში ჩაება. ამჯერად პირველი ადგილი ქართველმა ჭაბუკმა არავის დაუთმო.

ახლა ალექსანდრე მეტრეველი საფრანგეთშია საბჭოთა სპორტსმენებთან ვ. ეგოროვთან, ს. ლიხაჩოვთან, თ. ლეიუსთან და თეიმურაზ კაპანელასთან ერთად. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი, რომელიც მალე დაიწყება, არაოფიციალურ მსოფლიოს პირველობად ითვლება. მანამდე კი ქართველმა სპორტსმენმა უკვე მოიგო ორი საერთაშორისო ასპარეზობა. პირველი ტურნირის ფინალში მან უძლიერესი ჩეხოსლოვაკიელი ხოლეჩეკი დაამარცხა (7:5, 6:4, 6:4).

მეორე დიდი საერთაშორისო ტურნირი ნიცაში გაიმართა. აქ თავი მოიყარეს უფრო ძლიერმა სპორტსმენებმა, საბჭოთა ჩოგბურთელთაგან 8 ყველიერესთა შორის მხოლოდ ა. მეტრეველი გავიდა. დანარჩენები ადრე გამოეთიშნენ ბრძოლას. და აი ფინალიც. მეტრეველის მეტოქეა ძლიერი ავსტრალიელი ფილიპს-მური. პირველი პარტია დაძაბული ბრძოლის შემდეგ ქართველმა ჩოგბურთელმა მოიგო 9:7, მეორე პარტია ავსტრალიელის უპირატესობით წარიმართა 7:5. მესამე პარტიაში ეტყობა მეტოქე დაიღალა. იგი შეცდომებს უშვებს, სამაგიეროდ მეტრეველი უფრო მხნედ გამოიყურება და ადვილად ზრდის ანგარიშს — 6:2. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები თითქმის ორი საათი იბრძოდნენ, ორთავემ უარი თქვა შესვენებაზე. მეტრეველი კვლავ ბრწყინვალედ იბრძოდა და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა — 6:4. (9:7, 5:7, 6:2, 6:4).

გარდა პირადი პირველობისა ა. მეტრეველმა ს. ლიხაჩოვთან ერთად წყვილთა ასპარეზობაც მოიგო, ნახევარფინალში მათ სძლიეს ხოლეჩეკ-კოუდელკას (ჩეხოსლოვაკია) — 6:4, 6:4, ფინალში კი ინგლისელებს ბატრიკსა და ხატჩინოს — 6:2, 6:2. შერეულ წყვილებში ა. მეტრეველი ინგლისელ ლოიდთან ერთად აგრეთვე პირველი პრიზის მფლობელი გახდა.

მეორე ქართველი სპორტსმენისათვის თ. კაკულიასათვის საერთაშორისო სარბიელზე გასვლა პირველი შემთხვევაა. თეიმურაზი არცთუ წარუმატებლად იბრძვის. იგი წარმატებით გამოვიდა იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც 21 წლამდე ასაკისა არიან.

მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი და მისი მეტოქე ალა კუშნირი დიდიხნის მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ მათი მატჩი სექტემბერში ტალინში გაიმართება. მანამდე კი ორივე მეტოქემ ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა, რომელიც 8 მარტისადმი იყო მიძღვნილი.

იუგოსლავიური ჭადრაკის სკოლა და აქ მოწყობილი შეჯიბრებები საყოველთაოდ არის აღიარებული, ზოგჯერ პრეტენდენტთა ტურნირებიც კი ვერ აგროვებენ ერთდროულად ასეთ ძლიერ შემადგენლობას. ამჯერადაც ასე იყო.

ნონა გაფრინდაშვილმა ამ ტურნირზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უძლიერესია, მან მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო. დისტანციის შუაგზაზე მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩის დამარცხებით ტურნირს ჩაუდგა სათავეში და ბოლომდე ლიდერობდა. მისმა უშუალო მეტოქემ ა. კუშნირმა სტარტზე ორი პარტია წააგო, მაგრამ შემდეგ დაწინაურდა და მეორე ადგილზე გამოვიდა. როგორც ჩანს, მათი მომავალი მატჩი საინტერესო და დაძაბული იქნება. ა. კუშნირი კარგ სპორტულ ფორმაშია, ამასთან მეორედ ეცილება საჭადრაკო გვირგვინს ქართველ მოჭადრაკეს. თუმცა სპეციალისტების აზრით მსოფლიოში არ არის არც ერთი მოჭადრაკე ქალი, რომელიც შეძლებდა მატჩში ნონას დამარცხებას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნონასათვის ეს შეხვედრა უბრალო ფორმალობა იყოს. საჭიროა მზადყოფნა, და ნონაც ვარჯიშობს, ემზადება ამ მატჩისათვის.

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში ახალი სისტემით მიმდინარეობს. თვითეული გუნდი ოთხ-ოთხჯერ ხვდება მეტოქეს, ორჯერ თავის მოედანზე და ორჯერ მეტოქის მოედანზე. უკანასკნელ წლებში თბილისის „დინამო“ წარუმატებლად იბრძოდა ჩემპიონატებში, გასულ წელს მეათე ადგილი დაიკავა. უძლიერეს გუნდში თაობათა ცვლილების გამო (ეს ბუნებრივი პროცესია) კლასი დაქვეითდა, ახლა ახალი მწვრთნელის, ცნობილი კალათბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლევან ინწკირველის მეთაურობით დინამოელები წარმატებით გამოდიან ჩემპიონატში და პირველი ადგილის შესანიშნავი შანსები აქვთ. დღეისათვის მათ მხოლოდ 10 ქულა აქვთ დაკარგული. უახლოეს მეტოქეებს კი — მოსკოვის ცსკა-ს, კიევის სკა-ს და ლენინგრადის „სპარტაკს“ — თითო მეტ-თოთხმეტი. ტურნირის დამთავრებამდე 8 ტური რჩება. წინ კი დინამოელებს 6 გასვლითი მატჩი აქვთ, აქედან ორი მოსკოვში ცსკა-სთან.

მიუხედავად იმისა, რომ დინამოელთა ლიდერი ზურაბ საკანდელიძე ნაკრებშია (ნაკრების წევრებს საზღვარგარეთ, ლათინურ ამერიკაში ჰქონდათ შეხვედრები და ემზადებიან მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისათვის), დინამოელები შესანიშნავად იბრძვიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ორი გამარჯვება ლენინგრადის „სპარტაკზე“. ეს გუნდი ამ შეხვედრამდე განუწყვეტლივ სათავეში ედგა სატურნირო ცხრილს, და აი თბილისში დამარცხდა არა მარტო „დინამოსთან“ (71-77, 64:68), არამედ „ბურევესტნიკთანაც“ და ფაქტიურად გამოეთიშა პირველობისათვის ბრძოლას.

თბილისელთა მეორე გუნდი „ბურევესტნიკი“ ახალგაზრდული კოლექტივია. მართალია, იგი არათანაბრად ატარებს მატჩებს, მაგრამ ძალუძს რომელიც გნებავთ მეტოქე დაამარცხოს. ასე გააკეთა, როცა თითო მოუგო მატჩი გასული წლის ჩემპიონს მოსკოვის ცსკა-ს, ლენინგრადის „სპარტაკს“, კიევის სკა-ს, თბილისის „დინამოს“.

ჩემპიონატი მაისის პირველ რიცხვებში დამთავრდება. თბილისის „დინამო“ კი ძალიან ახლოს, როგორც არასდროს ბოლო წლებში, არის ჩემპიონის ტიტულთან.

ისევე როგორც კალათბურთში, ფეხბურთშიც ნაკრების წევრები გაიწვიეს და გუნდები ულიდერებოდ დარჩნენ. თბილისის დინამოდან ნაკრებში წაიყვანეს მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი და გივი ნოდია. მართალია, პირველ ორ კალენდარულ მატჩში ისინი გამოვლენ, მაგრამ შემდეგ კვლავ წავლენ ნაკრებში, რომელსაც წელს მეტად პასუხსაგები მატჩები ელის.

სსრ კავშირის ჩემპიონატს წინ უძღოდა „ენძელას“ თასისათვის ბრძოლა, რომელსაც მცირე საკავშირო პირველობას უწოდებენ. რასაკვირველია, ამ მატჩების მიხედვით შეუძლებელია გუნდის საერთო შეფასება, ეს ტურნირი უმეტესად მომავალზე ზრუნვაა, ვარჯიშია, შემადგენლობის დადგენაა. ამიტომ გუნდები შედეგზე იმდენად არ ფიქრობენ. ამით უნდა აიხსნას ის, რომ თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ არ ცდილან პირველი ადგილის დაკავებას, თუმცა შარშან ქუთაისელები ფინალშიც კი გავიდნენ.

წლევანდელ „ენძელას“ გათამაშებაში პირველი ადგილი მოსკოვის „დინამოს“ ხვდა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ბაქოს „ნეფტჩი“ — 2:1. ეს მატჩი თბილისში გაიმართა და დიდ ინტერესი გამოიწვია.

სეზონის გახსნისას თბილისში ერთმანეთს ძველი მეტოქეები შეხვდნენ: თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“. დინამოელთა რიგებში იყვნენ — ურუშაძე, ცხოვრებოვი, ჭელიძე, რეხვიაშვილი (ქიქავა), ძოწენაშვილი, კუტივაძე (ჯეგრიაშვილი), ასათიანი, მეტრეველი, ხურცილავა, გავაშელი, გ. ნოდია. თამაში ნამდვილი საგაზაფხულო იყო ხშირი შეცდომებით, უზუსტო გადაცემებით. მასპინძლებს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ გოლი არ იქნა გატანილი. ფრე — 0:0.

პირველ მატჩში ქუთაისელები საბჭოთა კავშირის ჩემპიონს კიევის დინამოელებს შეხვდნენ თავიანთ მოედანზე და დამარცხდნენ — 0:2.

საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურში თბილისის დინამოელები დამარცხდნენ მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში — 0:1. ქუთაისელებმა კი ფრედ 0:0 ითამაშეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“.

XXX საიუბილეო საკავშირო პირველობამ სტარტი აიღო. წინ საინტერესო ბრძოლები გველის.

ო. ლორთქიფანიძე.

კოშკი ქართველის სპორტის

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საბჭოთა კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, 8. ათონელის ქ. № 25.